რუსეთის ჰიბრიდული ომი (საქართველოსა და პოლონეთის წინააღმდეგ)

„ჰიბრიდული ომი“ რომელსაც ოდესღაც „მომავლის ომს“ ან „ახალი თაობის ომს“ უწოდებდნენ, საქართველოს დღევანდელი რეალობა და უმთავრესი გამოწვევაა. ჰიბრიდულ ომი სამხედრო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად დიპლომატიური, სამხედრო, ეკონომიკური, საინფორმაციო საშუალებებისა და კონვენციური, არარეგულარული (პარტიზანული და ასიმეტრიული), ტერორიზმის, კრიმინალური და კიბერ ბრძოლის მეთოდების ერთობლივ, კოორდინირებულ, ღია და ფარულ გამოყენებას გულისხმობს.

რუსეთის ხელისუფლება ჰიბრიდულ ომს რიგი პოლიტიკური ინტერესების მისაღწევად იყენებს. შეიტანოს განხეთქილება და დაასუსტოს ნატო, ძირი გამოუთხაროს პროდასავლურ მთავრობებს, შექმნას ომის წინაპირობა, მოახდინოს ტერიტორიების ანექსია.

„ჰიბრიდული ომი“ გამოირჩევა შემდეგი მახასიათებლებით:

1) სამხედრო მოქმედებები იწყება მშვიდობიან პერიოდში, ანუ ოფიციალურად ომი გამოცხადებული არ არის; ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებების ნაცვლად, კონფლიქტი ხასიათდება მცირე მასშტაბის, ლოკალური შეტაკებებით.
2) ადგილი აქვს საბრძოლო მოქმედებებში სპეცდანიშნულების ქვედანაყოფების და შეიარაღებული სამოქალაქოების გამოყენებას.
3) ბრძოლა მიმდინარეობს არა ერთ, არამედ ოთხ ფრონტზე: (ხმელეთზე, ჰაერში, ზღვაში და საინფორმაციო ველზე).

ჰიბრიდული ომის მნიშვნელოვანი, ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტი საინფორმაციო სივრცეში განხორციელებული აქტივობაა. დასავლეთის ქვეყნებში რუსეთი წარმატებით იყენებს სტრატეგიულ კომუნიკაციებს. ტელეკომპანიებს, სატელევიზიო გადაცემებს, ინტერნეტ ტროლებსა და ბოტებს. ჩამოთვლილ სივრცეებში არ არის დაცული არავითარი მედია სტანდარტი, მთავარი ამოცანა პოლიტიკური დისკუსიის კრემლის ინტერესების სასარგებლოდ წარმართვაა.

რუსული პროპაგანდა საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ ოპერაციებს ახორციელებს მრავალი მეთოდის გამოყენებით, მათ შორის არის:

1) დადასტურებული ფაქტების ეჭვქვეშ დაყენება, ან უარყოფა;
2) კონკრეტული მოვლენების ალტერნატიული ვერსიების გავრცელება, აუდიტორიის დასაბნევად;

3) მარტივი და ადვილად აღსაქმელი, ხოლო ფაქტების სახით მოსაზრებებისა და ვარაუდების წარმოდგენა;
4) სამიზნე ქვეყნის მოწყვლადი ადგილების გამოვლენა, ე.წ. „მეხუთე კოლონის“, ანუ თავდამსხმელი ქვეყნისადმი ლოიალურად განწყობილი პირების და ორგანიზაციების ქსელის ფორმირება და სამიზნე ქვეყნის მოსახლეობის აქტიური საინფორმაციო დამუშავება, რათა მას გაუღვივდეს უკმაყოფილება საკუთარი ხელისუფლების მიმართ და გახდეს თავდამსხმელი ქვეყნის მხარდამჭერი და არ შეეწინააღმდეგოს მის მოქმედებებს.

„ჰიბრიდული ომის“ წარმოებისას სამიზნე ქვეყნის გრავიტაციის ცენტრს ქმნის ადგილობრივი მოსახლეობის პოზიცია. შესაბამისად, თავდამსხმელმა ქვეყანამ აუცილებლად უნდა მოიპოვოს ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა. სხვა შემთხვევაში, „ჰიბრიდული ომის“ წარმოება ფაქტობრივად შეუძლებელია. პროპაგანდისა და საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ოპერაციების გამოყენებით, ხდება სამიზნე ქვეყნის ეთნიკურ ჯგუფებში, პოლიტიკურ ელიტასა და სამოქალაქო საზოგადოებაში დაპირისპირების გაღვივება. მაგალითად: 2013 წლის ბოლოს, კიევში დაწყებული საპროტესტო აქციების პარალელურად, რუსულმა მედიასაშუალებებმა გააქტიურეს კამპანია უკრაინის ოპოზიციური ძალების წინააღმდეგ. რუსული პროპაგანდა მათ წარმოაჩენდა ულტრა-რადიკალებად/ფაშისტებად/რუსოფობებად, რომელთა ხელისუფლებაში მოსვლით საფრთხე იქნებოდა უკრაინაში მცხოვრები რუსებისთვის. ამით რუსულმა პროპაგანდამ ანტი-უკრაინულად განაწყო საკუთარი მოსახლეობა და, რაც მთავარია, გააღვივა ახალი ხელისუფლების მიმართ წინააღმდეგობა უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონების მოსახლეობაში.)

ჰიბრიდული ომის მთავარი გამოწვევა მისი სწრაფად ადაპტირებადი ხასიათია, განსხვავებით ტრადიციული საბრძოლო მოქმედებებისაგან, რომელსაც წესები აქვს. ჰიბრიდული ომი ყველაზე მეტად ადაპტირებადი ღია და თავისუფალი საზოგადოებების მიმართ გახდა. აღსანიშნავია რომ ჰიბრიდული ომის კლასიკური მოდელი არ არსებობს. ყველა ქვეყანა იყენებს ჰიბრიდული ომის თავისებურ მეთოდს, იმის მიხედვით თუ ვისთან აქვს ომი.

რუსეთის ჰიბრიდული ომი - საქართველოს წინააღმდეგ

რუსეთი ატარებს საკუთარ ინტერესებს, მის ხელთ არსებული ყველა რესურსით, მაშინვე როცა კი ამის საშუალება ეძლევა. საქართველო რუსეთისთვის განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან ნატოსთან ყველაზე ახლო მდგომი ქვეყანაა, რაც საფრთხეს უქმნის რუსეთის გავლენების გაძლიერებას რეგიონში. სწორედ ამიტომ, საქართველოში მიმდინარე მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური მოვლენების დროს რუსეთი აძლიერებს ჰიბრიდულ ომს. სოციალურ ქსელსა და მედიაში განსაკუთრებით აქტიურდება საინფორმაციო ომი.

ექსპერტების მოსაზრებით მსგავს შემთხვევებში, რუსეთის შეჩერება მხოლოდ ძალის დემონსტრირებითა და მის წინააღმდეგ პრინციპული პოზიციის დაკავებით შეიძლება. ამის მაგალითად კი 2008 წლის ომი მოჰყავთ: "როდესაც აშშ-მ შავი ზღვისკენ საბრძოლო გემები დაძრა და საქართველოს ლოჯისტიკურ საკითხებში დახმარება აღუთქვა, რუსულმა არმიამ თბილისისკენ სვლა შეაჩერა".

ჰიბრიდული ომი პოლონეთის წინააღმდეგ

უკრაინის კრიზისის მსვლელობისას პოლონეთი იყო მოწინავე სახელმწიფო ევროპაში, რომელმაც მხარდაჭერა გამოუცხადა ოფიციალურ კიევს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში. მან ხუთ სხვა სახელმწიფოსთან ერთად აქტიურ მხარდაჭერა გამოუცხადა საქართველოს 2008 წლის რუსეთ საქართველოს ომში.

მომდევნო წლებში პოლონეთის სამთავრობო რესურსზე განხორციელებული კიბერშეტევების ტენდენციამ იმატა.

2014 წელს განხორციელდა გახმაურებული ჰაკერული თავდასხმები პოლონეთის საკვანძო სახელმწიფო და ფინანსურ საიტებზე.

უკრაინასა თუ პოლონეთის კიბერსივრცეში მიმდინარე მოვლენებმა ცხადყო, რომ კიბერელემენტი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას არა მხოლოდ ინფორმაციაზე არასანქცირებული წვდომის, ან რესურსის წყობიდან გამოყვანის მიზნით.

ყირიმის ანექსიის შემდეგ პრორუსული ხასიათის ინფორმაციით პოლონური საიტების გაჯერების ტენდენციას, პოლონური საინფორმაციო გამოშვებები ცალსახად უწოდებენ რუსეთის ჰიბრიდულ ომს პოლონეთის წინააღმდეგ.

ნატოს როლი ჰიბრიდული ომის წინააღმდეგ ბრძოლაში

1949 წლიდან ნატო უსაფრთხოების მთავარი გარანტორის ფუნქციას ასრულებს თავისი წევრი სახელმწიფოებისთვის. ნატო ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ჰიბრიდული ომის თემას. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ვარშავისა და უელსის სამიტები და იქ შემუშავებული სტრატეგია და დეკლარაციები. ვარშავის სამიტზე სამიტის ჩატარება განაპირობა, იმ ძირითადმა გამოწვევებმა, რაც სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორებისაგან მომდინარეობდა სამხედრო, ტერორისტული, კიბერ და ჰიბრიდულ სფეროებში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რუსეთის მიერ გახორციელებულ აგრესიულ ქმედებებს, ასევე, ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში არსებულ უსაფრთხოების გარემოს და მათ გავლენას ნატო-ს წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოებაზე.

ვარშავაში შემუშავდა დეკლარაცია, რომლის თანახმად, 2017 წლის დასაწყისიდან ბალტიისპირა ქვეყნებსა (ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი) და პოლონეთში განთავსდა ნატოს ბატალიონის ზომის 4 სამხედრო ქვედანაყოფი, რომლებიც ადგილობრივ სამხედრო ქვედანაყოფებთან შეთანხმებულად მოქმედებენ.

აღნიშნულ გადაწყვეტილებამდე კი ჩატარდა ნატო-ს 2014 წლის უელსის სამიტი, სადაც დაამტკიცეს მზადყოფნის სამოქმედო გეგმა (Readiness Action Plan - RAP), რომლის მიღებაც, ასევე რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებისა და მათი სტრატეგიული გავლენის საპასუხოდ მოხდა.

ნატო-საქართველოს ურთიერთობები 1992 წლიდან იწყება, როდესაც საქართველო შეუერთდა ნატო-ს ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს (NACC), რომელიც 1997 წელს შეიცვალა ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოთი (EAPC - Euro-Atlantic Partnership Council). აღნიშნულ ფორმატში, რომელშიც პარტნიორი და წევრი ქვეყნები

სხვადასხვა მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებს განიხილავენ, საქართველო დღემდე აქტიურად არის ჩართული.

ავტორი: თამარ საკანდელია